მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბესიკ გუჯეჯიანის ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

2019 წლის 9 სექტემბერს ოფრეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ გუჯეჯიანის ანგარიშის წარდგენა განხორციელდა ოფრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობასთან.

ქ. მარნეული **,,–09–„09–.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ბესიკ გუჯეჯიანი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, არსენ ახვერდიანი,არამ კარაპეტიანი.

სხდომას ესწრებოდა - ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ოფრეთის და ხოჯორნის მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი .

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ გუჯეჯიანის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბესიკ გუჯეჯიანი ოფრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ოფრეთი,ხოხმელი) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ოფრეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ოფრეთში განხორციელდა მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,სოფელი ოფრეთის წყალმომარაგება.სოფელ ხოხმელში გარე განათების მოწყობის სამუშაოები შესრულდა

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ოფრეთის მოსახლეობას .ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სოფელში ამბულატორიის არქონა.

სოფელი ხოხმელის მოსახლეობის პრობლემების ჩამონათვალია: ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა,სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია,გარე განათების დასრულება,საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფა და სკოლის მოსწავლეთათვის სასკოლო ტრანსპორტის გამოყოფა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ოფრეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ გუჯეჯიანის გაწეული მუშაობის ანგარიში.